2001649714

ხელშეკრულება № 184
(საექსპერტო მომსახურების შესახებ cpv:79210000)

თბილისი **02 დეკემბერი 2014 წ.**

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

1. ერთის მხრივ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (შემდგომში - შემსრულებელი), ბიუროს საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თამარ მაისურაძის სახით, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მეორეს მხრივ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი" (შემდგომში- დამკვეთი) დირექტორის ოთარ დაბრუნდაშვილის სახით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი საფუძველი

მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები ძირითადად რეგულირდება: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე-633-ე, 636-ე-638-ე, 642-ე-645-ე, 647-ე-649-ე მუხლებით; „სააღრიცხვო სამართლის იურიდიული პირი სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფებით; „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანერგებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის №81§2 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში- ბრძანება), აგრეთვე ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი და შესასრულებელი სამუშაო

1. შემსრულებელი დამკვეთის 2014 წლის 09 ოქტომბრის № 786081 წერილობითი მიმართვის და აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სასაქონლო საექსპერტო ან სპეციალურ სამუშაოს, (კერძოდ აიპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი"-ს ბალანსზე რიცხული 12 (თორმეტი) სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საბაზრო ღირებულების დადგენა) ხოლო დამკვეთი უხდის შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს საფასურს ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
2. შემსრულებელი საექსპერტო კვლევას/გამოკვლევას იწყებს დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის საქონლი მასალის/ობიექტის წარმოდგენის დღიდან. დასკვნა/აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაიცემა 30 სამუშაო დღის ვადაში.
3. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული საკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას და ხიმუშის აღებას, საექსპერტო მომსახურების ვადის ათვლა იწყება დამკვეთის მიმართვის დღიდან 30 სამუშაო დღის ვადაში.
4. საექსპერტო კვლევის ხასიათიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, საექსპერტო მომსახურების აუცილებელი გეთანხმული ვადა ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ბიუროს მომსახურების ტარიფების №№148, 375-378, 380, 381, 392-398 კოდებით გათვალისწინებულ საექსპერტო მომსახურებაზე.

მუხლი 4. დამკვეთის მიერ მისთვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

1. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მომსახურების ტარიფების თანახმად ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად.
2. 2.სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 150 (ას ორმოცდა ათი) ლარს.

2. დამკვეთი გაეცნო სემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული, შესაბამისი საექსპერტო ან სპეციალური სამუშაოების ღირებულებას (რასაც; აღასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით), რომელსაც დამკვეთი იხდის ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებამდე ან სამუშაოს შესრულებიდან დასკვნის მიღებამდე.

მუხლი 5. შემსრულებლის უფლება-ვალდებულებები

1. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) ხარისხიანად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში;

ბ) გადასცეს დამკვეთს საექსპერტო სამუშაო (დასკვნა) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საექსპერტო მომსახურების საფასურის სრულად გადახდის შემდეგ;

გ) დამკვეთის მიერ საკვლევი მასალის/ობიექტის წარმოუდგენლობის ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, დამკვეთის მომართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მოითხოვოს საჭირო მასალა/ობიექტი;

დ) მოითხოვნა საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენაზე განახორციელოს: წერილობითი ფორმით; ტელეფონით (სატელეფონო საუბარი ექსპერტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი აქმის შედგენით); ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით ან შესაბამისი აქმის შედგენით);

ე) თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული გამოსაკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას/ხიმუშის აღებას, შემსრულებელი ვალდებულია კვლევის დაწყებიდან გონივრული ვადაში შეუთანხმოს დამკვეთს ობიექტის დათვალიერების/კვლევის/ხიმუშის აღების თარიღი და დრო.

ვ) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში საექსპერტო მომსახურების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე გააგრძელოს საექსპერტო მომსახურების ვადა.

ზ) შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალდებულია ამ მუხლის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს წერილობითი ფორმით; ტელეფონით (სატელეფონო საუბარი დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი აქმის შედგენით); ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით ან შესაბამისი აქმის შედგენით).

2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს დამკვეთისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;

ბ) დამკვეთის მიერ 10 სამუშაო დღეში, საექსპერტო მომსახურებისთვის აუცილებელი ობიექტის/ მასალის წარმოუდგენლობის/არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, შეადგინოს აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ ან შეწყვიტოს ექსპერტიზის წარმოება.

მუხლი 6. დამკვეთის უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) ხელი შეუწყოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაში;

გ)სრულყოფილი სახით წარმოადგინოს საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალები ან/და უზრუნველყოს ექსპერტის ან სპეციალისტის დაშვება ობიექტზე.

2. დამკვეთი უფლებამოსილია:

მოითხოვოს შემსრულებლისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების კალენდრიულად შეწყვეტით მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანზე.

2. თუ დამკვეთი უარს განაცხადებს შემსრულებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს გაგრძელებაზე, ან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ვერ უზრუნველყოფს ექსპერტის დაშვებას ობიექტზე, ან დასკვნის მომზადება შეუძლებელია არსებული მასალების საფუძველზე, ექსპერტი იდგენს აქტს დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ, დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი ექსპერტიზისათვის განკუთვნილი ტარიფით განსაზღვრული თანხის 25%.

3. თუ შემსრულებელი თავისი ბრალით უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადას და ამით დამკვეთის მიადგება რაიმე სახის მატერიალური ზიანი, იგი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედება

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისთანავე;
ბ) დამკვეთი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს უფლებამონაცვლე.
2. მხარეებს შეუძლიათ ერთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
3. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 10. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ერთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად და ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსრულებელი	დამკვეთი
სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი“ მის: ქ.გორი, ბესიკის ქ.№ 2
საბანკო რეკვიზიტები: სს "ლიბერთი ბანკი" ც/ფ IBAN ანგარიშის №GE86LB0121113150235000 ბანკის კოდი LBRTGE22 ს/კ: 204852089	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. რესპუბლიკა ბანკი; გორის ფილიალი ა/ა GE65BR0000010840018424 ა/ა GE44BR0000010154181175 ა/ა GE82BR0000010618956767 ბანკის კოდი : REPLGE22 ს/კ 217890192 ტელ: +995 0370 22 78 71 +995 0370 27 21 53 ვებ გვერდი: gantiadi.ge
საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი თამარ მაისურაძე ---------- BUREAU	დირექტორი: ოთარ დაბრუნდაშვილი ----------